# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 6 სექტემბერი 1994 № 45 (120) | ფასი 90 000 კუპონი


# ევროპული კვირეული თბილისში

ორშაბათს „აირ-მოლდოვას" თვითმფრინავით თბილისს მოლდოვას ორი ეროვნული ნაკრები ესტუმრა. მთავარი ნაკრების მთავარ მწვრთნელთან იონ კარასთან სახელდახელო ინტერვიუც იქვე ავიღე.

**— უძლიერესი შემადგენლობით ჩამოხდით?**

— სამწუხაროდ, არა. ჩვენი ორი საუკეთესო ფეხბურთელი — გუზუნი, რომელიც ბუქარესტის „რაპიდში" გამოდის და ახალგაზრდა რუსლან როი[…] ტრავმირებულნი არიან.

**— წელს უკანასკნელი მატჩი ვისთან ითამაშეთ?**

— გაზაფხულზე ორჯერ შევხვდით ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს 1:1 და 0:3. სულ 10 მატჩი ჩავატარეთ, რაც ნაკრები არსებობს.

**— ჩვენს ნაკრებზე რა იცით?**

— ის, რაც პრესაში შემხვედრია. გავიგე, რომ „დინამომ" კრაიოვა დაამარცხა. ისიც ვიცი, რომ „დინამო" — ეროვნული ნაკრების ბირთვია, ალბათ თქვენი ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონი გაივსება.

**— თუ საიდუმლო არაა, რას გეგმავთ თბილისში?**

— პროგნოზებისგან თავს შევიკავებ, რეალისტი გახლავართ და ვიცი, რომ [...]იმე თამაში გველის, ძალიან მძიმე.

**— ნუთუ მთლად გადაიწურეთ იმედი?**

— ქართველები მუდამ ძლიერნი იყავით თავდასხმაში, მაგრამ თქვენი აქილევსის ქუსლი ყოველთვის დაცვა იყო. როგორც შევიტყვე, დაცვაც გაგიძლიერებიათ. ძნელი იქნება თქვენთან ჭიდილი.

**— ჯგუფში რა ადგილს გეგმავთ?**

— ოთხი ფავორიტია, ჩვენ და ალბანეთი კი აუტსაიდერები ვართ. შედეგსაც აქედან გამომდინარე ვგეგმავთ.

**— საქართველოს ფავორიტად მიიჩნევთ?**

— რა თქმა უნდა.

შემდეგ მოლდოველ კოლეგებს გამოვესაუბრე. რვანი იყვნენ. ჩვენი ამქრისთვის ერთობ აქტუალურ კითხვაზე, ვისი ხარჯებით ჩამოხვედით-მეთქი, მხრები აიჩეჩეს, რა თქმა უნდა, მოლდოვის ფეხბურთის ფედერაციისო. მერე ჩვენი ყოფის ამბები მკითხეს და თავიანთიც მიამბეს. ნაკრების შანსებზე კი მითხრეს, ახალგაზრდული ნაკრების იმედი უფრო გვაქვს, ეროვნულისა არაო. გოგრიჭიანის არყოფნა გაუკვირდათ, მაგან მოუგო ტირასპოლის „ტილიგულს" და რატომ არ გყავთ, „ტილიგულიდან" ნაკრებში რვა კაციაო. ბოლოს კი მითხრეს, კურტიანუს უფრთხილდით, ზედიზედ ორი წელია მოლდოვას საუკეთესო ფეხბურთელი ხდებაო.

ჩემს კითხვაზე, ამერიკის გარდა წელს მართლა არავისთან გითამაშიათ-მეთქი (კარასმა რატომღაც ასე მითხრა), მიპასუხეს, 2 სექტემბერს გენერალური რეპეტიცია გვქონდა; აზერბაიჯანელებს 2:1 მოვუგეთო. კარასს ამ თამაშში ხუთი მცველი გამოუყვანია და ჟურნალისტებისთვის უთქვამს, საქართველოსთანაც ამ ტაქტიკით ვითამაშებთო. აზერბაიჯანელებს მთელი მატჩის მანძილზე ტერიტორიული უპირატესობა ჰქონიათ, მაგრამ მოლდოველებს კონტრშეტევების ტაქტიკა აურჩევიათ და 12-ე და 28-ე წუთებზე კლეშჩენკოს, რომელიც ერთადერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი ყოფილა ამ თამაშში, ორი ტყუპისცალი გოლი გაუტანია. მატჩის მიწურულს კი აზერბაიჯანის 1992 წლის საუკეთესო ფეხბურთელს სამირ ალეკბეროვს ერთი გოლი გაუქვითია. აზერბაიჯანი რუმინეთის მეტოქეა ქვეჯგუფში და ამიტომ რუმინეთიდან დიდი დელეგაცია სწვევია კიშინიოვს გენერალ ანგელ იორდანესკუს წინამძღოლობით. მოლდოველებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს 2 სექტემბერს: კოშელევი (ივანოვი 46) — სეკუ, კარასი, ნანი, პოგორელოვი (ტესტიმიცანუ 46), ს.სტროენკო — ბელოუსი, ოპზეა (კაპაცინა 46), კურტიანუ (ა.სტროენკო 46), სპირიდონი — კლეშჩენკო (კოსე 46).

აი მოლდოველთა თბილისური შემადგენლობა: **მეკარეები:** ვასილ კოშელევი (22 წლის, ტილიგული, 9 მატჩი ნაკრებში, გაუშვა 10 გოლი), ეუგენ ივანოვი (28, ტილიგული, 0). **დაცვა:** სერგეი სტროენკო (27, ტილიგული, 19), სერგეი ნანი (24, ზიმბრული, 4), იონ ტესტიმიცანუ (20, ზიმბრული, 0), სერგიუ სეკუ (22, ტილიგული, 8), ვალერი პოგორელოვი (27, ტილიგული, 3), ემილ პოგორელოვი (27, ტილიგული, 3), ემილ კარასი (27, ზიმბრული, 5). **შუა ხაზი:** სერგეი ბელოუსი (23, ტილიგული, 2), რადუ რებეჯა (21, ზიმბრული, 3), სანდუ კურტიანუ (20, ზიმბრული, 3), იგორ ოპზეა (25, ტილიგული, 10), ვალერი კაპაცინა (24, კონსტრუქტორული, 2), **თავდასხმა:** სანდუ სპირიდონი (34, ზიმბრული, 10, 1), ვლადიმირ კოსე (27, ტილიგული, 4, 2), სერგეი კლეშჩენკო (23, ზიმბრული, 3,1), ანდრეი სტროენკო (25, ტილიგული, 0), ვიტალი კულიბაბა (23, ზიმბრული, 0).

მოლდოვას ნაკრებმა დღემდე 10 მატჩი გამართა (ჟურნალისტები რატომღაც არ თვლიან მატჩს საქართველოს ნაკრებთან): 1992. მაისი. მოლდოვა — ლიტვა 1:1; აგვისტო (ტურნირი იორდანიაში, III ადგილი) პაკისტანი — მოლდოვა 1:5, სუდანი — მოლდოვა 1:2, იორდანია — მოლდოვა 1:0, კონგო — მოლდოვა 1:3, ერაყი — მოლდოვა 1:0. ოქტომბერი. სომხეთი — მოლდოვა 0:0. 1994. აპრილი. აშშ — მოლდოვა 1:1, აშშ — მოლდოვა 3:0. სექტემბერი. მოლდოვა — აზერბაიჯანი 2:1.

ოლიმპიური ნაკრები ამ შემადგენლობით გვეწვია: **მეკარეები:** დენის რომანენკო (19, ზიმბრული, 4, -2), ვლად მურა (20, ზიმბრული, 1), **მცველები:** ვასილ ტოლოკონიკოვი (20, ზიმბრული, 4), გენადი ბოლდურესკუ (21, სპურანცა, 2), ოლეგ ფისტიკანი (19, კოდრუ, 4), დმიტრი ტრიკოლიკი (19, სპორტული, 0); **შუა ხაზი:** ბორის ჩებოტარუ (19, ზიმბრული, 41), დინუ კარასი (20, სპორტული, 4, 1), ანატოლი ტუმბერი (21, ზიმბრული, 4), სერგეი პარხომენკო (21, ტილიგული, 3); **თავდასხმა:** ვადიმ სერედა (20, ტილიგული, 2), ანატოლი ლუჩიანჩიკოვი (19, ტილიგული, 4), იური მიტერევი (19, ზიმბრული, 4), ალექსანდრე მელნიკოვი (21, სპორტული, 1,1), რუსლან მიჰაილეა (21, სპორტული, 3).

ოლიმპიურმა ნაკრებმა დღემდე 4 თამაში ჩაატარა: 1993. მოლდოვა — ბელარუსი 0:1, ბელარუსი — მოლდოვა 0:1. მოლდოვა — უკრაინა 1:1. 1994. მარტი. უკრაინა — მოლდოვა 0:2.

მამუკა ქვარაცხელია

6 სექტემბერი. 16.00. კალათბურთი. კორაჩის თასი
**„თბილისი" — „სტატიბა" ვილნიუსი, ლიტვა**

6 სექტემბერი. 19.00. ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი
**საქართველო (ოლიმპიური) — მოლდოვა (ოლიმპიური)**

7 სექტემბერი. 16.00. კალათბურთი. კორაჩის თასი
**„კაქტუსი" — „აირ ფორსესი" სამარა, რუსეთი**

7 სექტემბერი. 19.30. ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი
**საქართველო — მოლდოვა**

8 სექტემბერი. 16.00. კალათბურთი. კორაჩის თასი
**„მერანი" — „ბიპა-მოდა" ოდესა, უკრაინა**

8 სექტემბერი. 19.00. კალათბურთი. ჩემპიონთა თასი
**„ვითა" — „ბროცენი" რიგა, ლატვია**

13 სექტემბერი. 20.00. ფეხბურთი. უეფას თასი
**„დინამო" — „ინსბრუკი" ავსტრია**



რეპორტაჟი ჩვენი ეროვნული გუნდის საწვრთნელი ბანაკიდან — მეორე გვერდზე



კვირეულს დასაბამი ხელბურთელმა ვაჟებმა დაუდეს. თასების მფლობელთა თასზე თბილისის „მამულმა" ორჯერ დაამარცხა ბაქოს „უმუდი" 40:20, 34:32 და მეთექვსმეტედფინალში გავიდა



კვირას გაიმართა ევროპის ჩემპიონატის ორი შესარჩევი მატჩი: I ჯგუფში ისრაელის ნაკრებმა შინ დაამარცხა პოლონეთი 2:1, **ხოლო IV ჯგუფში ხორვატიამ სტუმრად სძლია ესტონეთი — 2:0**

# ...ღობეზე კი არა, კლდეზე ავალ

**ეროვნული ნაკრები**

ირაკლი ზოიძე (1969), დინამო
აკაკი დევაძე (1971), შევარდენი

მურთაზ შელია (1969), დინამო
გიორგი ჩიხრაძე (1967), ტემპი (უკრაინა)
კახი ცხადაძე (1968), აინტრახტი (გერმანია)
ნუგზარ ლობჟანიძე (1971), დინამო
გიორგი ნემსაძე (1972), დინამო
ზაზა რევიშვილი (1968), დინამო
კახი გოგიჩაიშვილი (1968), სამტრედია
გოჩა ჯამარაული (1971), დინამო
გელა ინალიშვილი (1966), დინამო
რეზო არველაძე (1969), დინამო
გიორგი ქინქლაძე (1973), დინამო
მიხეილ ყაველაშვილი (1971), დინამო
გია გურული (1964), დიუნკერკი (საფრანგეთი)
არჩილ არველაძე (1973), დინამო
შოთა არველაძე (1973), დინამო

თხუთმეტიოდე წლის წინ, მოსწავლეობისას, „ავაზას“ სპორტსკოლაში დავდიოდი. ჩვენი ვარჯიშის შემდეგ მე და ჩემი თანატოლები [illegible] ბაზის კედელზე ვძვრებოდით, [illegible]იან ღობეს ავეკრობოდით ხოლმე და საათობით ვუყურებდით ჩვენი კერპების — ჩივაძის, დარასელიას, გუცაევის, [illegible]ნის, შენგელიას და სხვათა ვარჯიშს. [illegible]ლ დათო ყიფიანმა მთხოვა კედელ[illegible] გადმოცდენილი ბურთი მიმეწოდებინა. ბიჭები ხომ შურით გასკდნენ, მე კი, გაოგნებული, ყიფიანს რომ ბურთი გადავუგდე, მას მერეც კარგა ხანს ვიდექი პირღია და შემდეგ ეს ამბავი ღამღამობით მესიზმრებოდა...



გიორგი ჩიხრაძე — ნაკრების დებიუტანტი

ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელთა უარმა, ბაზაზე შევეშვით და ნაკრების ვარჯიშისთვის თვალი გვედევნებინა, ბავშვობა გამახსენდა. ჰოდა, მეპატიოს ეს სიანცე — ვაშურე ფეხი და ღობეზე ზუსტად იმ ადგილას ამოვჩნდი, თხუთმეტი წლის წინ რომ ვიყავი აყუდებული. ჩემს დღეში ათამდე ჩემი კოლეგა ამოჩნდა, შემდეგ კი გულშემატკივრებიც შემოგვემატნენ. საბედნიეროდ ფოტოკორესპონდენტებს დიდი ხვეწნის შემდეგ გადაღების უფლება დართეს, თორემ რკინის ბადეში ობიექტივებს ნაღდად ვერ გატევდნენ...

ვარჯიშამდე მცირე ხნით ადრე ლეგიონერთაგან გია გურული და გიორგი ჩიხრაძე მოვიხელთე რამდენიმე წუთით, ცხადაძეზე კი „დრო აღარ გვეყო“...

— გია, რატომ შეიცვალე კლუბი?

— მწვრთნელთან დაძაბული ურთიერთობა მქონდა, თანაც „დიუნკერკმა“ კარგი პირობები შემომთავაზა. ახალ კლუბს უცებ შევეწყვე, ყველასთან კარგად ვარ.

— რამდენი მატჩი ითამაშე?

— ყველა, ექვსივე. მეშვიდეს ჩემი კლუბი დღეს თამაშობდა.

— გოლები თუ გაგაქვს?

— ახალ კლუბში ამპლუა შევიცვალე, უკან დაწეული თავდამსხმელი ვარ. ჯერჯერობით გოლი არ გამიტანია, მეათე ნომრად ვთამაშობ.

— კლუბს რა მიზნები აქვს?

— უმაღლეს დივიზიონში გადასასვლელად ვიბრძვით. მეხუთე ადგილზე ვართ და მესამე ადგილზე მყოფ გუნდს ქულით ჩამოვრჩებით.

— „ლე ავრში“ შარშან ხუთიოდე გოლი გაიტანე–

— სასწაულად არ მწყალობდა ბედი. ჯერ დესაისთან ორთაბრძოლაში დავიშავე მარჯვენა ფეხი და სამი თვე ვმკურნალობდი, მერე „პარი სენ ჟერმენთან“ კუნთი გამიწყდა, წითელი ბარათიც მივიღე და თვენახევარი დავისვენე, ბოლოს „მონაკოსთან“ მეორე ფეხზე გამიწყდა კუნთი, რამდენიმე კვირა გამოვტოვე. ჩვენი საუკეთესო ბომბარდირი ტიიც წავიდა „ლე ავრიდან“.

— ფრანგული ფეხბურთი საკმაოდ უხეშად ითვლება ევროპაში. ტრავმებმა აკი შენც გაგაწამა–

— ერთ თამაშში წვივსაფარიც კი გამიტეხეს, ძლივს გადავრჩი. ისე კი, მსაჯებმა უხეშობას დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს, ექვს ტურში უკვე ორმოცდაათი ფეხბურთელი გააძევეს.

— პენალტებს ვინ ურტყამს „დიუნკერკში“?

— მე. მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ მოსამზადებელ ეტაპზე გავიტანე პენალტი, როცა ოთხ ტურნირზე ე.წ. ჩრდილოეთის თასი მოვიგეთ.

— სხვა ქვეყნებში თუ გიწვევდნენ?

— ჩემი მენეჯერი საუდეთს, მექსიკას და შვეიცარიას მეუბნებოდა. მე ისევ საფრანგეთი ვარჩიე. ბავშვებმა ენა გაიტეხეს ფრანგულში, ცოდვაა მათი აქედან მოცილება.

— კლუბში რას გეძახიან?

— ოო, ეს ძალიან სასაცილო ამბავია. ჯერ ჟიას მეძახდნენ, მერე გიუას, ჟიგას, ბოლოსდაბოლოს, ჯორჯოზე „შევთანხმდით“.

— სხვა კურიოზებიც შეგემთხვეოდა–

— ცნობილი კომუნისტის, მორის ტორეზის შვილიშვილმა პიერმა დამირეკა და ქართულად მომესალმა. გავოგნდი. კავკასიაზე დისერტაციას იცავს თურმე. მერე დავმეგობრდით, კარგი ბიჭია, ისიც კომუნისტია, თუმცა მათ აუგად ხსენებაში ამყვა კიდეც.

— დარჩენას კვლავ საფრანგეთში აპირებ?

— თუ უმაღლეს დივიზიონში გადავედით, უეჭველად დავრჩები, ისე, ძალიან გამიჭირდება, შევეჩვიე საფრანგეთს.

— ამბობენ, ფრანგები ძალიან წუწურაქები არიანო–

— საკმაოდ. თავიდან ჩვენებურად, ხელგაშლილად ვიქცეოდი, მერე მივხვდი, სულელად ჩამთვლიდნენ და შევეშვი.

— შენი აზრით, ჩვენი ბიჭებიდან ვინ შეძლებდა საფრანგეთში თამაშს?

— ნაკრების ყველა წევრი. მეტნაკლები წარმატებით, რა თქმა უნდა.

...გიორგი ჩიხრაძე ერთი წელია არ მენახა, პირველად, ცხადია, გაგრაში ჩარჩენილ მშობლებზე შევეკითხე.

— ისევ იქ არიან, კეთილი ხალხი იფარავს.

— ჩვენებურები როგორ არიან შეპეტოვკაში?

— კარს გია ბაბუაძე იცავს, გოჩა ჟორჟოლიანმა ხელი მოიტეხა და მალე სხვა კლუბში გადავა. იური გაბისკირიაც ძირითადშია, მეც და ავთო კაპანაძეც. ნიაზ ბრუნჯაძე სხვა კლუბში გადავიდა.

— ისევ ბაზაზე ცხოვრობთ?



კახი ცხადაძე და გია გურული

— ბინები და მანქანები ყველას მოგვცეს.

— ჯუმბერ ნიშნიანიძე რასა იქმს?

— კვლავაც კაცურად ეწევა კლუბის პრეზიდენტის ჭაპანს. ხან გვიჭირს, ხანაც გვილხინს. ამერიკაშიც ვიყავით და იქაური ჩემპიონი 2:1 დავამარცხეთ.

— შეპეტოვკაში როდის მიდიხარ?

— 10 სექტემბერს კიევში „დინამოსთან“ ვთამაშობთ. ალბათ პირდაპირ კიევში ჩავალ და იქ დაველოდები კლუბს. მანამდე კი მიშა ჯიშკარიანს მოვინახულებ, აქაურ ამბებს მოვუყვები. ახალგაზრდობის შემდეგ პირველად მოვხვდი ეროვნულ ნაკრებში და ეს ძალიან მეამაყება.

...ვარჯიშის ბოლოს ჯამარაულისა და ნემსაძის ორთაბრძოლა ამ უკანასკნელის ტრავმით დამთავრდა. ჩვენ არ შეგვეძლო და ჩვენს „აგენტს“ ფოტორეპორტიორს გია ახალაძეს ვთხოვეთ ამბის გაგება. „კუნთია დაჭიმული, ხვალ გაირკვევა ყველაფერი, მგონი, საშიში არაფერიაო, — გვაცნობა გიამ ნაკრების ექიმის, დიმა ხაჩიშვილის სიტყვები. ცოტა გულზე მოგვეშვა.

ის იყო, „ლოჟიდან“ ჩამოძრომას ვაპირებდით, რომ რამაზ შენგელიამ დაგვინახა და გაოცებულმა გვკითხა, მანდ რა გინდათო? რამაზმა ღიმილით შეგვიპატიჟა ბაზაზე, მაგრამ ავტომატიანი დაცვის შიშით იქ რას შევბედავდით...

ეს ბოლო ფრაზა, რა თქმა უნდა, ხუმრობით. სავსებით სერიოზულად კი ამას ვიტყვი: ოღონდ ნაკრებმა ითამაშოს და, ღობეზე კი არა, სალ კლდეზე ავალ და არანაირ ავტომატიანს არ შევეპუები.

**მამუკა კვარაცხელია**

**გია ახალაძის ფოტოები**



ტრავმირებული გიორგი ნემსაძის თამაში სათუოა...

# ნეტავ ტრიბუნები შეივსოს...

საქართველოს ახალგაზრდულმა (ოლიმპიურმა) ნაკრებმა წლის დამდეგს რამდენიმე საკონტროლო მატჩი გამართა უმაღლესი ჯგუფის გუნდებთან და უმეტესობა მოიგო. ნაკრების თითქმის ყველა წევრი თავისი კლუბის ძირითად შემადგენლობაში თამაშობს, ასე რომ, ფეხბურთელები სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას არ უჩივიან.

ივნისსა და ივლისის დასაწყისში ახალგაზრდული ნაკრები სტუმრად იმყოფებოდა ბელარუსსა და ირანში. ჩვენმა ფეხბურთელებმა ხუთი მატჩი ჩაატარეს, აქედან ორი მოიგეს, ორი ფრედ დაამთავრეს და მხოლოდ ბელარუსის ოლიმპიურ გუნდთან დამარცხდნენ. ორივე ტურნემ საკმაო გამოცდილება შესძინა ჩვენს ბიჭებს, მწვრთნელს კი ნათლად დაანახა მათი შესაძლებლობანი.



ორი ახალგაზრდული ნაკრების მატჩი: გიორგი კიკნაძე (მარჯვნივ) ლევან კობიაშვილთან ბრძოლისას.

29 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე ახალგაზრდული ნაკრები მოლდოველებთან მატჩისთვის წყალტუბოში ემზადებოდა. მთავარ მწვრთნელს შოთა ჭეიშვილს, ისევე, როგორც უწინ, ნაკრების მომზადებაში ეხმარებიან ვახტანგ კოპალეიშვილი და ელგუჯა გუგუშვილი. გუნდის ექიმია ზურაბ ლომინაძე, მასაჟისტი — როლანდ ხვადაგიანი.

წყალტუბოში ჩასული აღფრთოვანებული და გაოცებული დავრჩი იმით, რაც იქ ვიხილე. აღარ მეგონა, თუ საქართველოში სადმე კიდევ არსებოდა კეთილმოწყობილი, მინებჩაუმსხვრეველი, ჯერდაუცხრილავი სანატორიუმი. წალკოტში ჩასმულ ასეთ სანატორიუმში გადიოდა შეკრებას ჩვენი ორი ახალგაზრდული ნაკრები (მეორე გუნდში 18 წლამდე ასაკისანი იყვნენ). სანატორიუმში, რომელიც ამჟამად თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის (მალე კი აქ გაეროს ემისრები დაბინავდებიან), მოდის ცხელი წყალი, უნაკლოდ მუშაობს კვების ბლოკი, იქაურობას თვალისჩინივით უფრთხილდება მომსახურე პერსონალი. მოკლედ, ჩვენს ბიჭებს ამ მხრივ მადლობის მეტი არაფერი ეთქმით.

ფოიეში შეკრებილი ბიჭები, მისალმების შემდეგ, ერთსადაიმავეს მეკითხებოდნენ: მართლა ბევრი ხალხი მოვა ჩვენს თამაშზე? ჩვენც გახსოვართ გულშემატკივრებს? ტელევიზორში თუ ამბობენ რამეს ჩვენს თამაშზე, გაზეთებშიც სწერენ? ცარიელი ტრიბუნების წინ ხომ არ ვითამაშებთ?.. აშკარა იყო, მომავალი მატჩის იმედით ცხოვრობდნენ და სრულად ჰქონდათ შეგნებული, რას ნიშნავდა მათთვის და მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის 6 სექტემბრის მატჩი მოლდოველ თანატოლებთან.

31 აგვისტოს წყალტუბოს ცენტრალურ სტადიონზე ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები უმცროსთა ნაკრებს ბოლო საკონტროლო მატჩს ეთამაშა და გაიმარჯვა — 2:0. გოლები ალექსანდრე რეხვიაშვილმა და დათო ჭიჭვეიშვილმა შეაგდეს. ამ მატჩში მწვრთნელებმა თვრამეტივე ფეხბურთელი ათამაშეს, უკანასკნელად შეამოწმეს ყველას მზადყოფნა.

შოთა ჭეიშვილი და ვახტანგ კოპალეიშვილი თამაშისწინა საკითხებით იყვნენ დაკავებულნი და მეც ხელი აღარ შემიშლია მათთვის, სასაუბროდ ელგუჯა გუგუშვილი დავიმარტოხელე.

— კმაყოფილი ხართ უკანასკნელი შეკრებით?

— თავადაც ხედავთ, რა ჩინებულ პირობებში ცხოვრობენ და როგორ იკვებებიან ბიჭები. წყალტუბოს „სამგურალის“ ხელმძღვანელობაც ყოველნაირად მხარში დაგვიდგა, სტადიონიც დაგვითმო სავარჯიშოდ და კლუბის ბაზაც. ვფიქრობ, ეს ერთკვირიანი მოსამზადებელი ციკლი საკმაოდ ნაყოფიერი იყო.

— აქ 18 ფეხბურთელი გყავთ წამოყვანილი. ეს შემადგენლობა საბოლოოა?

— ამ თამაშისთვის ეს ფეხბურთელები ემზადებიან და სწორედ ამ თვრამეტიდან აირჩევა ის 16, 6 სექტემბრის მატჩის განაცხადში რომ იქნებიან. ტრავმებმა ხელი შეგვიშალეს რამდენიმე ფეხბურთელის მოწვევაში, საერთოდ კი მინდა გითხრათ, რომ ნაკრების კარი კვლავაც ღია სხვა ფეხბურთელთათვის, მომავალ მატჩამდე ხომ საკმაო ხანია. კვლავაც დავაკვირდებით ახალგაზრდებს და მატჩისწინა შეკრებაზეც იმ დროისათვის უძლიერესებს მოვიწვევთ. სხვათა შორის, ასაკობრივი შეზღუდვა არ იქნება, ადვილი შესაძლებელია, ჩვენი ნაკრების ფორმა ოც წელზე გაცილებით უმცროსმაც ჩაიცვას.

— გუნდი შეთამაშებულია თუ კვლავაც პრობლემები გაქვთ?

— მოგეხსენებათ, ნაკრები სულ რამდენიმე თვის შექმნილია, ამიტომ პატარ-პატარა პრობლემები ყველა რგოლში გვაქვს.

— შეკრებაზე ვინმე ხომ არ დაგშავებიათ?

— სერიოზული ტრავმები არ არის, მიკროტრავმებს კი მატჩამდე მოვიშუშებთ.

— ბიჭებს კი ვესაუბრე, მაგრამ მინდა თქვენც გკითხოთ: შეგნებული აქვთ, რას ნიშნავს ეროვნული ნაკრების მაისურით თამაში?

— მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ბიჭებს ესმით, რამხელა მოვალეობა ეკისრებათ და ეჭვი არ მეპარება, მოლდოველებთან თამაშისას ყველაფერს გაიღებენ გამარჯვებისთვის.

...წამოსვლის წინ კვლავ გავესაუბრე ბიჭებს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ზემოთქმულის სისწორეში. გიორგი ანჩაბაძემ კი მთხოვა შემეხსენებინა გულშემატკივართათვის, რამხელა მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენი ახალგაზრდებისათვის შევსებულ ტრიბუნებს.

**მამუკა კვარაცხელია,**
წყალტუბო — თბილისი

**ბადრი კეთილაძის ფოტო**

**ოლიმპიური ნაკრები**

დათო ჯანელიძე (1973), მრეტები
დავით გვარამაძე (1975), კახეთი

ალექსანდრე რეხვიაშვილი (1974), გურია
მამუკა ბუცურეიშვილი (1974), გურია
ხვიჩა ხართიშვილი (1974), გურია
ზვიად ჯელაძე (1973), სამტრედია
რომეო გოგიტაძე (1973), სამტრედია
გიორგი კიკნაძე (1976), დინამო
გიორგი ანჩაბაძე (1973), დინამო
ხვიჩა შუბითიძე (1973), შევარდენი
მამია ჯიქია (1975), შევარდენი
დათო ჭიჭვეიშვილი (1975), ანცი
ზვიად პაპიძე (1973), ანცი
გიორგი ლუდუშაური (1973), ანცი
დათო კარიაული (1975), ანცი
გურამ ასპინძელაშვილი (1973), ანცი
ალექსანდრე ბურნაძე (1974), მეტალურგი
ამირან მუჯირი (1974), ბათუმი

კალათბურთი

# სასახლე გაჩირაღდნებულა...

სპორტის სასახლეში დიდი ფუსფუსი და ფორიაქია: 6, 7 და 8 სექტემბერს, პირველად ქართული სპორტის ისტორიაში, ჩვენი საკალათბურთო გუნდები ევროპული თასების გათამაშების მატჩებს უმასპინძლებენ. დაგვეთანხმებით, ბუნებრივი იყო სურვილი, გავსაუბრებოდით ამ თამაშების მასპინძელს, გაერთიანება „სპორტის სასახლის" დირექტორს თენგიზ ლომიძეს.

— სტუმრების იმით დახვედრა, რაც აქამდე გვქონდა, არ შეიძლებოდა — იატაკი მოძველებული იყო, ტაბლოც ვერ მუშაობდა ამგვარი ტურნირების საკადრისად. საქართველოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ახალი საფარიც დავაგეთ და ტაბლოც შევაკეთეთ, ახლა მაყურებელს საშუალება ექნება კალათბურთელის მიერ დაგროვილ ქულებსა და პერსონალურ ჯარიმებს ტაბლოზე მიადევნოს თვალი. დავამონტაჟეთ სირენაც, ტაიმისა და მატჩის დამთავრებას რომ გვამცნობს.

შევაკეთეთ გასახდელები, ადრე, მოგეხსენებათ, გასახდელი გასახდელს არ ჰგავდა, ახლა კი ნებისმიერი ქვეყნის გუნდის მიღება არ შეგვრცხვება. იქნება ცხელი წყალი. ყველაფერი ეს ჩვენი სახსრებით გავაკეთეთ, ზედმეტად არავინ შეგვიწუხებია. გასახარი ის იყო, რომ ბევრი ადამიანი გვირეკავდა და დახმარებას გვთავაზობდა. ბატონმა ჯიმი სხირტლაძემ, მაგალითად, გამოგვიგზავნა ერთი კასრი სალებავი, რომელიც ვერსად ვიშოვეთ და რომ არა ეს საჩუქარი, ცუდ დღეში ჩავარდებოდით.

ჟურნალისტებისთვის შემოვიღეთ საშვების სისტემა. მათ დაეთმობათ პირველი ორი რიგი.

თელასი შეგვპირდა, რომ დენი შეუფერხებლად მოგვეწოდება. ყველა, ოთხასივე პროჟექტორი წესრიგშია და განათებაც შესანიშნავი იქნება. ევროპული სტანდარტის მიხედვით 900 ლუქსი უნდა იყოს, ჩვენთან კი — 1100 ლუქსია.

წესრიგს პოლიციისა ადრე უშიშროების თანამშრომლები დაიცავენ. ბატონი დემურ მიქაძე პირადად შეგვპირდა, სპორტის სასახლეში წესრიგის დამყარება ჩემზე იყოსო და სიტყვაც შეასრულა, კალათბურთის ფინალების დროს არანაირი ექსცესი არ მომხდარა.

ბილეთი 700 და 1000 მანეთი ეღირება. ეს ის მინიმალური თანხაა, რომელიც სამეურნეო ხარჯებს აგვანაზღაურებინებს. ტაბლოს რეკონსტრუქცია 4 მილიონი მანეთი დაჯდა. ბილეთები რომ უფრო გაგვეძვირებინა, ჩვენც რამეს გამოვრჩებოდით, მაგრამ ბევრი ჭეშმარიტი გულშემატკივარი, შესაძლოა, მატჩზე ვერ მოხვედრილიყო სიძვირის გამო, ამას კი ნამდვილად ვერ ვიზამდი.

ერეკლე კიკილაშვილი

ჩემპიონთა თასი. 8 სექტემბერი 19.00

ვითა — ბროცენი რიგა, ლატვია

## ვეტრას და გადაშევის წინააღმდეგ

საქართველოს ჩემპიონმა „ვითამ" ევროთასებისთვის მზადება თბილისში დაიწყო, კეჩხობში გააგრძელა და გერმანიაში დაასრულა. გუნდი იქიდან შაბათს დაბრუნდა. „ვითას" ტურნირში უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ დააგვიანა და მხოლოდ ორ ამხანაგურ მატჩს დასჯერდა. პირველი შეხვედრა „გისენთან" გამართეს და ოთხი ქულით, 75:79 დამარცხდნენ. მეორე მატჩში „ბრამშესთან", თვრამეტქულიანი ჩამორჩენა „ვითას" ერთ ქულამდე შეუმცირებია, თუმცა საბოლოოდ 15 ქულით წააგეს. მსაჯების მიკერძოება იმდენად აშკარა ყოფილა, რომ გერმანელთა მწვრთნელი შუა თამაშში სკამიდან წამომდგარა და არბიტრებისთვის ნორმალური მსაჯობა მოუთხოვია. „ვითას" მთავარი მწვრთნელი ბესიკ ლიპარტელიანი გერმანიაში მოგზაურობით კმაყოფილია. მან შეამოწმა გუნდის მომზადების დონე და დარწმუნდა, რომელ მოთამაშეს რისი თავი აქვს. „ვითას" სამი ახალი კალათბურთელი ჰყავს: გია სანაძე და ნუგზარ კოკოლიშვილი „თბილისიდან" მოვიდნენ, ირაკლი ჭამაკიძე — „დინამოდან". „მერანში" გადავიდნენ შოთა უძილაური და გიორგი ბერუაშვილი, ხოლო შოთა მაჭარაძე ერთი წლით ათხოვეს „კაქტუსს". პრობლემები გაჩნდა კახა შენგელიას თაობაზე. მას კონტრაქტი ჰქონდა შვეციის „ჯიბი ნაითსთან". მისი „ვითაში" დაბრუნების დროს მხედველობაში არ იქნა მიღებული წვრილმანი ფორმალობანი, რომლებიც არ გამოეპარა ფიბა-ს და ამ საქმის გამოკვლევა დაიწყო. „ვითამ" შვეციაში ფაქსი გააგზავნა, რის შემდეგაც იქაური კლუბი თავის მხრივ ფიბა-ში გაგზავნის ფაქსს, რითაც დაადასტურებს, რომ შენგელია თბილისში ყველა წესის დაცვით გადმოვიდა. ასე, რომ „ვითას" ცენტრი თავისი გუნდის ღირსებას დაიცავს.

„ვითას" მეტოქე, რიგის „ბროცენი" ლატვიის ჩემპიონი და უძლიერესი გუნდია. მის რიგებში გამოდიან „მინესოტა ტიმბერვულვზის" ექს-მოთამაშე გუნდარს ვეტრა, ბარსელონის ოლიმპიადის მონაწილე, გარუსებული აზერბაიჯანელი ელშათ გადაშევი, აგრეთვე უკრაინელი ბონდარენკო (თამაშობდა კიევის „სტროიტელში") და სანქტ-პეტერბურგის „სპარტაკის" ყოფილი წევრი მელნიკი. „ბროცენის" სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ ცოტა ხნის წინ მან მოსკოვში 15 ქულის სხვაობით მოუგო რუსეთის ჩემპიონს ცსკა-ს.

მერაბ რატიშვილი

კორაჩის თასი. 6 სექტემბერი 16.00

თბილისი — სტატიბა ვილნიუსი, ლიტვა

## ისე არ დავცემულვართ...

ოთხი ქართული გუნდიდან ევროთასებისთვის ბრძოლაში პირველი ვიცე-ჩემპიონი „თბილისი" ჩაებმება. ბოლო ორ სეზონში ჩვენი ჩემპიონატების ოქროს მაძიებლის შემადგენლობა ერთობ შეიცვალა: მისი ლიდერი ნიკოლოზ დერიუგინი ხლოვაკეთს გადაბარგდა, ნუგზარ კოკოლიშვილმა და გია სანაძემ „ვითას" მიაშურეს, მიხეილ ახვლედიანი კაქტუსელი გახდა, ზაზა ცაგარეიშვილმა კი ბინა „მერანში" დაიდო. როგორც „თბილისის" მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ჯგერენაიამ გვითხრა, პრობლემათა სათავე უსახსრობა ყოფილა:

— გასული სეზონი ისე ჩავამთავრეთ, ბიჭებს ხელფასი ხუთი თვე არ აეღოთ. შესაძლოა, სულაც დავშლილიყავით, მაგრამ მოთამაშეთა ბირთვმა გუნდის შენარჩუნება და კორაჩის თასზე ასპარეზობა არჩია. წასულთა ნაცვლად რამდენიმე კალათბურთელი შევიმატეთ და ორი თვის წინ ვარჯიშებს შევუდექით. დავუკავშირდით ახალ დაარსებულ ფირმა „გეას" და, თუ ყველაფერი კარგად იქნა, ახალ სეზონში სპონსორობას ის გაგვიწევს. იმედი გვაქვს, „სტატიბასთან" თამაშის შემდეგ „თბილისი" სრული უსახსრობის გამო არ დაიშლება. მეტოქის შესწავლაშიც ხელი უფულობამ შეგვიშალა. ყველაზე მეტად ჩვენი გუნდის შეთამაშება მაფიქრებს, ფიზიკურ მომზადებაში კი არა მგონია დიდად დაგვჯაბნონ. მოსაგებად ყველა ღონეს ვიხმართ. მართალია, შედარებით დავსუსტდით, მაგრამ ისეც არ წავქცეულვართ, რომ გამარჯვებაზე ფიქრი აღვიკვეთოთ. ჩვენი შემადგენლობა ასეთია: ქორქია, გურასპაული, ხელაშვილი, ქარაბაკი, აბულაშვილი და ქორფაშვილი „თბილისის" ძველი წევრები არიან, დროებით დაგვემატნენ რუსთაველი ბერუაშვილი და დინამოელი გურამ ჭაშაკიძე. გუნდში ავიყვანეთ სოხუმელი გია ჭითავა, ყოფილი დინამოელი გოგა ჩაჩანიძე და ახალგაზრდა გიორგი უბილავა. კიდევ ერთმა ძველმა თბილისელმა შაველაშვილმა კი ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაიკეთა და ვერ ითამაშებს. თუ შემდგომ ეტაპზე გავედით, ხორვატიის „რიეკა" შეგვხვდება.

ილია ბაბუნაშვილი

კორაჩის თასი. 7 სექტემბერი 16.00

კაქტუსი — აირ ფორსესი სამარა, რუსეთი

## გერმანული მომზადება რუსებთან მატჩისთვის

ქართული კლუბებიდან ყველაზე ძლიერი მეტოქე, ალბათ, „კაქტუსს" ჰყავს — სამარის „აირ ფორსესი" (იგივე ცსკ ვვს) ამ გუნდის შესახებ მწირი ინფორმაცია გვაქვს, მაგრამ ერთი რამ უეჭველად საგულისხმოა: მის რიგებში თამაშობს ბოლო სეზონის რუსეთის საუკეთესო კალათბურთელი, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი ვალერი ტიხონენკო. ამ მოთამაშეს, რომელიც შარშან ესპანეთში გამოდიოდა, ევროპის რამდენიმე ძლიერი კლუბი იწვევდა, მან კი სამარაში ირჩია თამაში. „აირ-ფორსესი" ყოფილი ალმა-ათის სკა გახლავთ. გუნდი შარშან „გადმოსახლდა" სამარაში და მისი მოთამაშეების უმრავლესობაც რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერია. „კაქტუსის" მთავარი მწვრთნელის თამაზ ოქრუაშვილის თქმით, იგი იცნობს მეტოქის რამდენიმე კალათბურთელს, ოღონდ კარგა ხანია მათი თამაში აღარ უნახავს.

„კაქტუსი" ამ მატჩისთვის გერმანიაში მოემზადა. კლუბმა იქ გაიარა ორკვირიანი შეკრება და ორ ტურნირშიც მიიღო მონაწილეობა. „კაქტუსმა" 11 მატჩი ჩაატარა, ხანდახან დღეში ორი თამაშის გამართვაც უწევდა. თბილისელთათვის შედეგები არ გახლდათ იმდენად მნიშვნელოვანი, მთავარი იყო კორაჩის თასის წინ ყველა სათამაშო ვარიანტის მოსინჯვა. გერმანიაში მომზადება მწვრთნელებმა იდეალურად ჩათვალეს. პირველ ტურნირში, ფრანკფურტის მახლობელ ქალაქ ლიხში რომ გაიმართა, ყველაზე ფასეულად შვეციის ვიცე-ჩემპიონთან „ნორჩეპინგთან" მატჩი მიიჩნიეს. პირველი ტაიმი „კაქტუსს" მოუგია, მეორეში კი შეგნებულად დაუზოგავს ძალები და დამარცხებულა. იგივე გამეორდა ადგილობრივ გუნდთან შეხვედრისას. შესვენებაზე ჩვენებთან მისულან ბუნდესლიგის „გისენის" წარმომადგენლები და შეუთავაზებიათ: ამ მატჩს რომ დაამთავრებთ, ჩვენს გუნდს ეთამაშეთო. „კაქტუსს" ბუნდესლიგის გუნდთან სურდა ძალების მოსინჯვა და ორი საათის შემდეგ კვლავ მოედანზე გამოვიდა. „გისენმა" მოიგო, მაგრამ თბილისელებმა ბევრი საჭირო რამ შეიძინეს.

გაცილებით ძლიერ შემადგენლობას მოუყრია თავი შპაიერში (ეს ქალაქიც ფრანკფურტთან მდებარეობს) გამართულ ტურნირში. აქ მატჩები დილა-საღამოს ტარდებოდა. ჩვენები პირველ მატჩებს დილის ვარჯიშებივით ატარებდნენ, ხოლო საღამოს ჩვეულებრივად თამაშობდნენ. მათ დაამარცხეს ბუნდესლიგის „ჰანოვერი", ხოლო გერმანიის შარშანდელი ჩემპიონატის მესამე პრიზიორ „ბრამშეს" პირველ ტაიმს თანაბრად ეთამაშნენ. შემდეგ თავი აღარ მოიკლეს, რადგან საღამოს საპრიზო ადგილისთვის მასპინძელთა გუნდთან უწევდათ შეხვედრა. „შპაიერს" ქართველმა კალათბურთელებმა მოუგეს და მესამე ადგილიც დაიკავეს.

თამაზ ოქრუაშვილის აზრით, „კაქტუსი" დაემსგავსა შეკრულ გუნდს, რომელსაც საკუთარი სათამაშო სტილი აქვს. მოთამაშეებმა ბევრი რამ ნახეს, ბევრი ისწავლეს და, რაც მთავარია, დაიჯერეს, რომ ევროპულ გუნდებთან თამაში შეუძლიათ.

ყველა მოთამაშე ჯანმრთელადაა. გერმანიაში აქილევსის მყესი დაეჭიმა ლადო აბულაძეს, მაგრამ ტრავმა მალე მოირჩინა. ბატონი თამაზი, როგორც ყოველთვის, პროგნოზებისგან თავს იკავებს: „შეუძლებელია რამე თქვა, როცა საქმე გაქვს ასეთ ძლიერ მეტოქესთან. ჩვენთვის მთავარია ვაჩვენოთ კარგი კალათბურთი. ვფიქრობ, თბილისში ერთი დიდი კოზირი გვექნება — გადაჭედილი სპორტის სასახლე და გულშემატკივართა მხარდაჭერა"! განმეორებითი მატჩი სამარის ნაცვლად 14 სექტემბერს მოსკოვში გაიმართება: „აირ ფორსესს" თავად შემოუთავაზებია რუსეთის დედაქალაქში თამაში.

მერაბ რატიშვილი

კორაჩის თასი. 8 სექტემბერი 16.00

მერანი — ბიპა-მოდა ოდესა, უკრაინა

## შემთხვევითი მეკორაჩე

გუნდი რომელიც საქართველოს შარშანდელ ჩემპიონატში ექვსეულის მიღმა დარჩა, წლეულს ევროთასების გათამაშებაში ასპარეზობს: „მწვანე შუქი" კორაჩის თასისკენ „მერანს" „დინამოს", „თორსის" და „აზოტის" უარმა აუნთო. ისეთ გუნდს, როგორიც გასულ სეზონში „მერანი" იყო, არა თუ ევროპაში, ჩვენთანაც კი გაუჭირდებოდა მედლებისთვის ბრძოლა. ამიტომაც კლუბის მესვეურებმა რამდენიმე კალათბურთელი მიიწვიეს. ვარჯიშზე მისულებს გუნდის მთავარი მწვრთნელი თურქეთში წასული დაგვხვდა, თურმე კალათბურთელებისთვის ფორმა უნდა ჩამოეტანა. გუნდში მეორე კაცად, რა თქმა უნდა მწვრთნელის შემდეგ, შეიძლება კაპიტანი ჩაითვალოს, ამიტომაც გავესაუბრეთ „მერანის" კაპიტანს ალეკო პეტრიაშვილს.

— მატჩისთვის მოსამზადებელი ეტაპი თბილისში გავიარეთ, სპარინგ-შეხვედრები ჩავატარეთ „ვითასთან" და „თბილისთან". შევიმატეთ რამდენიმე ახალი კალათბურთელი: ტალაბაძე, ფერიაშვილი და თემურ ცაგარეიშვილი „თორსიდან" გადმოვიდნენ, უძილაური და გიორგი ბერუაშვილი — „ვითადან", ცხვედიანი — „დინამოდან", „თბილისიდან" კი ზაზა ცაგარეიშვილი დაგვემატა. გვაქვს დანაკლისიც — ტრავმის გამო ვერ ითამაშებს მალხაზ ანდღულაძე. „ბიპა-მოდაზე" მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ მეზღვაურების გუნდია და უკრაინის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გასულა. ამიტომაც, პირველი ხუთეული უშუალოდ თამაშის წინ, ხოლო ტაქტიკური სქემა მოედანზე გაირკვევა. ამ მატჩს უნგრელი და პოლონელი მსაჯები მოემსახურებიან. ჩვენი გუნდი გამარჯვებისთვის იბრძოლებს. ყველაფერს ვილონებთ, რათა არ გავაწბილოთ გულშემატკივრები.

ერეკლე კიკილაშვილი

კალათბურთი

# პირველი გამარჯვება ევროთასებზე

ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების შესარჩევი წრე. 5 სექტემბერი. თბილისი სპორტის სასახლე.

**„მამული" (თბილისი) — „უმუდი" (ბაქო) 40:20 (22:9)**

მამული: ქოქოსაძე, უშვერიძე (9), ღლონტი (1), მჭედლიშვილი (2), ჯიოძე (1), არსენაშვილი (5), კალანდაძე (19), ბარათაშვილი (1), შათირიშვილი, გოჩა მაღლაქელიძე (1), გიგა მაღლაქელიძე (1).
უმუდი: მ. იბრაჰიმოვი, ი. იბრაჰიმოვი (1), ი. ალიევი, მამედოვი (8), ფაბრიჩნი, ხავჩენკო (4), ვ. ალიევი (7), ახმედოვი, აბასოვი, ჰ. ალიევი, ა. იბრაჰიმოვი, ჰასანოვი.
მსაჯები: ვალენტინ ვაკულა, ალექსანდრე ლუდოვიკი (უკრაინა).

მატჩამდე ორი დღით ადრე „მამულის" ერთ-ერთ ვარჯიშზე გავესაუბრეთ გუნდის უფროს მწვრთნელს რევაზ ჭანტურიას:

— დღევანდელი პირობების გათვალისწინებით, მოსამზადებელმა პერიოდმა ნორმალურად ჩაიარა. მოვაწყეთ ოცდღიანი შეკრება ლაგოდეხში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბაზაზე (დირექტორი ბადრი სამარგულიანი), სადაც მშვენიერი პირობები გვქონდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის უდიდესი ყურადღება და მხარდაჭერა, რასაც გუნდის მიმართ იჩენს ჩვენი სპონსორი TBC (პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე). გუნდში ორი ახალი მოთამაშე გვყავს — მეკარე თამაზ ქოქოსაძე და ზვიად შათირიშვილი. ისინი „ამირანიდან" მოვიდნენ. მეტოქის შესახებ პრაქტიკულად არაფერი ვიცით. ცნობილია მხოლოდ ის, რომ „უმუდმა" აზერბაიჯანის წლევანდელ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. არც ჭანტურიას და არც გუნდის წევრებს თამაშზე კონკრეტულად არაფერი უთქვამთ, თუმცა იგრძნობოდა, რომ ბიჭები იმედიანად იყვნენ.



ტიტე კალანდაძე

„მამულს" აკლდა ერთ-ერთი ლიდერი ზაზა გაბრიჩიძე, რომელსაც ტვინის შერყევა აქვს. მიუხედავად ამისა, თბილისელებს არ გასჭირვებიათ იოლად გამარჯვება, რაზედაც ანგარიშიც და მატჩის მსვლელობაც ნათლად მეტყველებს.

პირველი გოლი მეოთხე წუთზე გავიდა. მანამდე მსაჯებმა რამდენჯერმე ჩამოართვეს ბურთი ორივე გუნდის წევრებს შეტევაში თამაშის წესების დარღვევისთვის. მსაჯობაზე ბარემ აქვე ვიტყვით: უკრაინელმა არბიტრებმა დაგვანახეს, რომ შეიძლება ზუსტად დააფიქსირო გარბენი, არ ჩათვალო გოლი, თუკი მოთამაშემ საჯარიმო მოედნის ხაზს ფეხი დაადგა, ნებართვის გარეშე მოედანზე არავინ შეუშვა, მცირე დარღვევისა თუ შელაპარაკებისთვის მოთამაშე მყისვე სათადარიგოთა სკამზე გაისტუმრო. ერთი სიტყვით, მსაჯობა უნაკლო იყო, ამიტომაც თამაშმა კორექტულად და ნერვების წყვეტის გარეშე ჩაიარა.

ახლა კვლავ მატჩს დავუბრუნდეთ, როცა არსენაშვილმა უშვერიძის პასით ანგარიში გახსნა. აქედან მოყოლებული და ტაიმის ბოლომდე ბაქოელებმა ვერც ტიტე კალანდაძის ტყორცნებს მოუხერხეს რამე და ვერც მერაბ უშვერიძის გარღვევებს. მეკარე თამაზ ქოქოსაძემ კი 30-ე წამზე მამედოვს შორიდან ნასროლი რომ აუღო, მეტოქე თითქოს გააფრთხილა: მოედნიდან არაფერი გამოგივათ და თუ პირისპირ გამოხვალთ ჩემთან, ეგებ რამე გაახერხოთო. თამაზმა ამ მატჩში 21 ბურთი მოიგერია და თითქმის ყველა გოლი კონტრშეტევებისას ან მეტოქის ფლანგებიდან შეჭრისას გაუშვა. სტუმართაგან აქტიურობდა მამედოვი, რომელმაც პირველ ტაიმში 5 ბურთი შეაგდო. „მამული" ცოტა არ იყოს, გაერთო შეტევაში იმპროვიზაციით და ტაიმის მიწურულს აზერბაიჯანელებმა ზედიზედ სამი გოლი გაიტანეს.

მეორე ტაიმის საწყისი 7 წუთი „უმუდმა" 5:2 მოიგო. ამ ხანში ქოქოსაძემ სამჯერ მოიგერია პირისპირ გასული მეტოქეების დარტყმები. ეტყობა, თბილისელები დაამშვიდა დიდმა ანგარიშმა და დაცვაში ჩამოსვლას აგვიანებდნენ. რიგიანად ათამაშდა ბაქოელთა მეკარე, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა: მასპინძლები მყისვე გადავიდნენ ხისტ დაცვაზე, ხოლო კალანდაძემ ჯერ ორი შვიდმეტრიანი საჯარიმო შეაგდო, შემდეგ კი იმისთანა ისროლა ჭკვიანურად გათამაშებული საჯარიმოდან, რომ მეკარეს თამაშის ხალისი დაუკარგა.

მატჩის ბედი დასაწყისშივე გადაწყვეტილი იყო, საბოლოოდ კი ყველაფერი მეორე ტაიმის შუაწელში გაირკვა. სტუმართა ლიდერი მამედოვი უხეშობისა და მესამე გაფრთხილებისთვის თამაშის ბოლომდე გააძევეს მოედნიდან. იგი ტირილ-ტირილით გავიდა, ოღონდ ორი წუთით „დასვენებამ" ღლონტსაც მოუწია, რადგან წესის დამრღვევ მამედოვზე გაიწია. ამით კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ მსაჯების პრინციპულობას. ამ დროს „მამული" 11 ბურთით იგებდა, ექვს წუთში ანგარიშში სხვაობა კი 18-მდე გაიზარდა და თბილისელთა ლმობიერება რომ არა, ვინ იცის, კიდევ სადამდე გაიზრდებოდა.

გია ახალაძე
მერაბ რატიშვილი

P.S. განმეორებითი მატჩი 11 სექტემბერს უნდა გამართულიყო ბაქოში, მაგრამ „უმუდს" უთხოვია, მეორეჯერაც თბილისში ვითამაშოთო და მეორე დღეს გუნდები ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში, ყველასგან უჩუმრად შეხვდრიან ერთმანეთს. „მამულმა" ამჯერად 34:32 მოიგო და მეთექვსმეტედფინალში ბროვარის (უკრაინა) გუნდს შეხვდება..


ფირმა **B&P PROJECT**

საქმიან ადამიანებს სთავაზობს
მომსახურების ახალ სფეროს

ფირმა თქვენი სურვილისამებრ მოგიძებნით პარტნიორებს საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. მოვამზადებთ და მივაწოდებთ თქვენ საქმიან წინადადებებს მათთვის მისაღებ ენაზე.
მოგიმზადებთ პარტნიორებთან საქმიან მოლაპარაკებებს. მოგაგვარებთ ყველა საკითხს, რომელიც საჭირო იქნება თქვენი წარმატებისათვის ევროპაში.
ყველანაირი სერვისი: ვიზების გაფორმება, ავიაბილეთები, სასტუმრო (ნებისმიერი კლასის), კვება, ტრანსფერი შეხვედრისა და გაცილების დროს. პროფესიონალი თარჯიმანი, ოფიციალური საქმიანი ინფორმაციები პარტნიორების შესახებ და კიდევ ბევრი სხვა...

მოგვმართეთ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე. დავით ალმაშენებლის გამზირი №154. IV-სართული, ოთახი №2 ტელ: 99-39-04

ჩვენი ხელწერა თქვენი ტრიუმფის საწინდარია

## თავისუფალი ჭიდაობა

# სტამბოლში ვერ ვიყავით კაქივით

სამწუხაროდ, სტამბოლიდან, სადაც ახლახან მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა, საქართველოს ნაკრები უმედლოდ დაბრუნდა. თუმცა მედალს ვილა ჩივის, ჩვენი სპორტსმენებიდან ათეულში, რომელიც გუნდურ პირველობაში ჩათვლას იძლეოდა, მხოლოდ ორნი – ელდარ კურტანიძე (90 კგ) და ზაზა თურმანიძე (130 კგ) მოხვდნენ. ამით საქართველოს ნაკრები 48 ქვეყნის გუნდს შორის 23-ე ადგილზე აღმოჩნდა, რაც, რაღა თქმა უნდა, სავალალო შედეგია.

მაინც რა მოხდა სტამბოლში? საქმე ის იყო, რომ ჩვენმა მოჭიდავეებმა პირველი წრე წარმატებით განვლეს, მეორეში კი, თითქოს პირი შეკრესო, ყველა დამარცხდა. ახალი წესების თანახმად, მეორედან მოყოლებული ნებისმიერ წრეში დამარცხებული შეჯიბრებას ეთიშება, პირველ წრეში წაგებული მოჭიდავე კი ბრძოლას აგრძელებს მანამ, სანამ თავად მისი მომრევიც მარცხს არ იწვნევს.

ასე იყო თუ ისე, ჩვენების წარუმატებლობის მთლიანად ახალ წესებზე გადაბრალება არგუმენტად არ გამოდგება – წესი წესია და იგი ყველაზე ვრცელდებოდა.

და მაინც, თვითმხილველთა მტკიცებით, ჩვენებს თურმე მთლად ურიგოდაც არ უჭიდავიათ. გულშემატკივრებს, უწინარეს ყოვლისა, ალბათ ზაზა თურმანიძის გამოსვლა აინტერესებთ – იგი ხომ ამას წინათ კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი გახდა და იქ ამერიკელ ბაუმგარტნერსაც სძლია. ეს ორი გოლიათი სტამბოლშიც დაეჭიდა ერთმანეთს და მაინცდამაინც მეორე წრეში. მათი ბრძოლის ძირითადი დრო ფრედ 5:5 დასრულდა. წონასწორობა დამატებითი დროის ბოლო წამებამდეც შენარჩუნდა – 2:2. ყველაფრიდან ჩანდა, რომ შეხვედრა ასეც დასრულდებოდა და გამარჯვებას ჩვენს ფალავანს მიაკუთვნებდნენ, რაკი მას ორი გაფრთხილება ჰქონდა, მეტოქეს კი ორჯერ მეტი. მაგრამ სწორედ ამ დროს თურმანიძეს, სამწუხაროდ, ხალიჩის ოფლით სველ მონაკვეთზე ფეხი აუსრიალდა და... ამ წონაში ჩემპიონი თურქი მაჰმუდ დემირი გახდა.

დიდ იმედებს ვამყარებდით შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორზე სოხუმელ ელდარ კურტანიძეზე. მან პირველ წრეში ანგარიშით 6:0 დაჯაბნა ჩეხი მსოფლიოს ექსჩემპიონი ლოგინია, მერე ირანელს შეხვდა. ირანელს უამრავი თანამემამულე ქომაგობდა. თურქებიც, როგორც მუსლიმები, მის მხარეზე იყვნენ. ამ ორის მთელი ჭიდილის მანძილზე დარბაზში ენით აუწერელი ყიჟინა იდგა. მათი ბრძოლის ძირითადი და დამატებითი დროც ფრედ – 0:0 დასრულდა. ჩვენები ელოდნენ, რომ რაკი კურტანიძე ილეთების ჩატარებას უფრო მეტჯერ ეცადა, გამარჯვებასაც მას მიაკუთვნებდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა. ამ შეხვედრის მნახველები ამბობენ, არბიტრებს რომ სხვაგვარად განესაჯათ, რას ჩაიდენდნენ იქაური გულშემატკივრები, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდაო. ერთი სიტყვით, ის ირანელი ბოლოს ჩემპიონიც გახდა.

საოცარი ამბავი მომხდარა თამაზ ყულოშვილის (52 კგ) ჭიდაობისას. მეორე წრეში კორეელთან ბრძოლას პირწმინდად იგებდა – 5:0. მერე, ეტყობა, იფიქრა, მონაპოვარს შენარჩუნება უნდაო და პასიურობა დაიწყო. დაიწყო და თავად დამარცხდა... 5:8. მეორე წრეში წააგო დავით პოლოსიანმაც (62 კგ). მას სძლია უკრაინის წარმომადგენელმა თედეევმა. არადა, ამათი შეხვედრა ევროპის ახალგაზრდა მოჭიდავეთა პირველობაზე პირიქით დასრულდა. დავით ხურციამ (82 კგ) პირველი წრე კუბელთან წარმატებით გაიარა, მეორეში მეტოქე არ გამოუცხადდა, მესამეში კი ბულგარელთან დამარცხდა.

ბოლოს ესეც უნდა ვთქვათ: ამ დღეში ვიქნებით. მანამ, სანამ ჩვენი მოჭიდავეები უსახსრობის გამო ტურნირებში მონაწილეობის ნაკლებობასაც განიცდიან, შეკრებებისაც და კიდევ ბევრი რამისაც. ვერც განახევრებული გუნდით წავალთ შორს.

ავთანდილ გურასაშვილი

# ტოტოლოტო
## საფეხბურთო პროგნოზი

| ტირაჟი 05<br>11 სექტემბერი | |
|---|---|
| 1 | ლაციო (4) — ტორინო (8) |
| 2 | იუვენტუსი (2) — ბარი (დ) |
| 3 | კალიარი (12) — მილანი (1) |
| 4 | ჯენოა (11) — ფიორენტინა (დ) |
| 5 | რეჯანა (14) — სამპდორია (3) |
| 6 | კრემონეზე (10) — ნაპოლი (6) |
| 7 | ფოჯა (9) — ბრეშია (დ) |
| 8 | პადოვა (დ) — პარმა (5) |
| 9 | ინტერი (13) — რომა (7) |
| 10 | ტენერიფე (10)—ატლეტიკო მ (12) |
| 11 | სოსიედადი (11)— სარაგოსა (3) |
| ფრჩხილებში — წინა ჩემპიონატში დაკავებული ადგილი | |
| ჩაბარების ბოლო ვადა — 8 სექტემბერი, 16 საათამდე | |

| ტირაჟი 06<br>13-14 სექტემბერი | |
|---|---|
| 1-6 ჩემპიონთა თასი, 7-11 უეფას თასი | |
| 1 | დინამო (კ) — სპარტაკი (მ) |
| 2 | პარი სენ-ჟერმენი — ბაიერნი |
| 3 | პაიდუკი — ბენფიკა |
| 4 | ანდერლეხტი — სტიაუა |
| 5 | კაზინო — აეკ |
| 6 | აიაქსი — მილანი |
| 7 | დინამო (თბ) — ტიროლი |
| 8 | ინტერი (იტ) — ასტონ ვილა |
| 9 | ლევერკუზენი — ეინდჰოვენი |
| 10 | ანტვერპენი — ნიუკასლი |
| 11 | ბორდო — ლილესტრიომი |
| ჩაბარების ბოლო ვადა — 13 სექტემბერი, 16 საათამდე | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი.
I ჯგუფი

I ტური. 14, 15 აგვისტო

### ტორპედო 2:1 სამგურალი

ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, ბზიკაძე, ვოსკანოვი, ნიჟარიშვილი, სადილიანი, ხუნდაძე, მაღლაკელიძე, გოგელიძე (კვეტენაძე 30), ვაჩიბერაძე (გიორგობიანი 30)
სამგურალი: კიკალეიშვილი, მუშკუდიანი, ქობულაძე, ივანეიშვილი, ვ. ფესტვენიძე, ჩიხლაძე, ცნობილაძე, იობიძე (კუხიანიძე), ლ. ფესტვენიძე, ვ. ჯანელიძე, ხარაბაძე (გუბელაძე)
0:1 კიკალეიშვილი (25 პ), 1:1 ჩხაბერიძე (48 პ), 2:1 მაღლაკელიძე (68)
მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

### კოლხეთი 4:0 კახეთი

კოლხეთი 1913: გვასალია, მიქაბერიძე, კაკაჩია, მაჭავარიანი, გიგატაძე, ღალანიძე (გოროზია 75), კიკლიაშვილი, ტორჩინავა, ჯულელი (მახარაძე), დარასელია, ქუნთელია
კახეთი: გვარამაძე, ცქიფურიშვილი, კაციტაძე, შონია, კანდელაკი, სანადირაძე, ქვარცხავა (მუშკუდიანი 75), მაისურაძე, სოლოლაშვილი, სირაძე, ზამთარაძე
1:0 ჯულელი (12 პ), 2:0 დარასელია (16), 3:0 მიქაბერიძე (55), 4:0 მახარაძე (75)
გაფრთხილება: ქვარცხავა
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

### დინამო 10:1 დურუჯი

დინამო: ჩხეიძე, ნემსაძე, ლობჟანიძე (ცქიტიშვილი 23), დიდავა, რევიშვილი, ყაველაშვილი, ა. არველაძე, ჯამარაული, რ. არველაძე, ქინქლაძე (იაშვილი 46), შ. არველაძე
დურუჯი: ალავიძე, ვ. ხუბეჯიშვილი, ყანჩაშვილი, გეგეშიძე, ჭაჭუა, კანკია (ბოჭორიშვილი 46), თოლორდავა, ჯაშიაშვილი, პოზოიანი, გ. ხუბეჯიშვილი, ლევინიაშვილი
1:0, 2:0 ა. არველაძე (9, 20), 3:0 ყაველაშვილი (22), 4:0 ჯამარაული (33), 5:0 შ. არველაძე (58), 6:0, 7:0 იაშვილი (60, 62), 8:0 ჯამარაული (66), 8:1 გ. ხუბეჯიშვილი (73), 9:1, 10:1 შ. არველაძე (77, 81)
მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია).

### ბათუმი 3:0 ზუგდიდი

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, სიჭინავა, მუჯირი, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ი. მახარაძე, ტულუში, ამბიძე (უჯმაჯურიძე 65)
ზუგდიდი: ჭანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე (გუგუჩია 46), თუთბერიძე, მიქაძე, გაბედავა, ნ. კაკუბავა, დ. კაკუბავა, დარასელია, გაბისონია, ჯაბუა
1:0 მაჭუტაძე (40), 2:0 უჯმაჯურიძე (67), 3:0 მაჭუტაძე (75)
გაფრთხილება: გაბისონია
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

### გურია 3:1 ივერია

გურია: ბერაძე, ნარიაშვილი, თევზაძე, ბურდული, ბუცურეიშვილი, ქიქავა, კვინტრაძე, კოროტკოვი (განიევი 72), გოგოლაძე (პატარაია 80), ყულევჯიშვილი, კანტიძე
ივერია: ტოგონიძე, ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, ტყემალაძე, გაგუა, შაიშმელაშვილი, კენჭუაშვილი, ჩადუნელი (გლუნჩაძე), მარლიშვილი (ნარმანია), ქობელაშვილი, ნიკლაური
1:0 კვინტრაძე (21), 1:1 მარლიშვილი (33 პ), 2:1 გოგოლაძე (42), 3:1 ყულევჯიშვილი (52)
გაფრთხილება: გაგუა, კანტიძე, ნარიაშვილი
მსაჯი: გ. ხეჩუაშვილი (კასპი)

### სამტრედია 5:0 საპოვნელა

სამტრედია: ჭანტურია, იონანიძე, გუჯაბიძე, ჯელაძე, ჯიკაევი, ცომაია, გოგიაშვილი, გოგიჩაიშვილი, დ. ჯანაშია, ფანჩულიძე, ამაშუკელი (ხუჭუა 76)
საპოვნელა: ქათამაძე, ჯანხოთელი, გენაძე, ჭულუხაძე, ხვარეშია, უკლება, ჯულელი (ბუნტური 46), ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ხურცილავა (ჩინჩალაძე 75)
1:0 ფანჩულიძე (11), 2:0 დ. ჯანაშია (35), 3:0 დ. ჯანაშია (50), 4:0 გოგიჩაიშვილი (64 პ), 5:0 გოგიჩაიშვილი (74)
მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)

### მარგვეთი 1:0 დილა

მარგვეთი: ნიქაბერიძე, ბებიაშვილი, გურიელიძე, მაღლაკელიძე, ლონლაძე, ლანჩავა, გაბრიჭიძე, კაციაშვილი, სულაკაძე (ფანცხავა 80), ენდელაძე, ფოცხვერაშვილი
დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, წკრიალაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, მინდიაშვილი, ქიტიაშვილი (ლომიძე 85), ტაბატაძე (ხორგუაშვილი 46)
1:0 ენდელაძე (89)
გაფრთხილება: ბალაშვილი
მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

### შევარდენი 1:0 მეტალურგი

შევარდენი 1906: დევაძე, მჭედლიშვილი, დიმიტრიშვილი, მელქაძე, მესტუმრე, ნადირაძე, მაქაცარია, ჯიქია (ჭოლოკავა 76), ჯელაძე (მაისურაძე 46), ფრიდონაშვილი, შუბითიძე
მეტალურგი: გრიშიკაშვილი, ტარტარაშვილი, ყაველაშვილი (ფოფხაძე 33), არჩვაძე, კობიაშვილი, ვ. კილასონია (პერტია 57), ამბიძე, გ. კილასონია, ჩალაძე, კვარაცხელია, ალადაშვილი
1:0 მელქაძე (48 პ)
გაფრთხილება: მჭედლიშვილი, ფოფხაძე, გრიშიკაშვილი
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

მეორე ტური. 18, 20 აგვისტო

### დინამო 4:0 კოლხეთი

დინამო: ზოიძე, ნემსაძე, ლობჟანიძე, შელია, ინალიშვილი, ყაველაშვილი, რევიშვილი, ჯამარაული, რ. არველაძე, ქინქლაძე (ცქიტიშვილი), შ. არველაძე
კოლხეთი 1913: გვასალია, მიქაბერიძე, კაკაჩია, მაჭავარიანი, გიგატაძე, ღალანიძე, კიკლიაშვილი, მახარაძე (ჯულელი 46), გოროზია, დარასელია, ქუნთელია (დანელია 70)
1:0 ყაველაშვილი (45), 2:0 ყაველაშვილი (51), 3:0 ჯამარაული (55), 4:0 ქინქლაძე (59)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### მეტალურგი 1:0 გურია

მეტალურგი: გრიშიკაშვილი, ფოფხაძე, ყაველაშვილი, არჩვაძე, კობიაშვილი, ვ. კილასონია (გაფრინდაშვილი 46), კვარაცხელია (ტარტარაშვილი 70), გ. კილასონია, ჩალაძე, მეტრეველი, ალადაშვილი
გურია: ბერაძე, კოროტკოვი (ნარიაშვილი 46), თევზაძე, ლორია, ბუცურეიშვილი, სიხარულიძე, კვინტრაძე, რეხვიაშვილი, გოგოლაძე, ყულევჯიშვილი, კანტიძე (გამცემლიძე 46)
1:0 გ. კილასონია (87)
გაფრთხილება: თევზაძე
მსაჯი: ტ. ნიშნიანიძე

### ზუგდიდი 2:2 შევარდენი

ზუგდიდი: ჭანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, მიქაძე, გაბედავა (ნიტაიშვილი 65), ნ. კაკუბავა, კვარაცხელია, დარასელია, გაბისონია, დ. კაკუბავა
შევარდენი 1906: დევაძე, მჭედლიშვილი, დიმიტრიშვილი, მელქაძე, მესტუმრე, ნადირაძე, მაქაცარია (მაისურაძე 64), ჯიქია, ჭოლოკავა, ფრიდონაშვილი (ჯელაძე 75), შუბითიძე
0:1 ჭოლოკავა (40), 1:1 ძალამიძე (59), 1:2 შუბითიძე (87), 2:2 გაბისონია (89 პ)
გაფრთხილება: კვარაცხელია, ჯელაძე
მსაჯი: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

### სამგურალი 1:1 სამტრედია

სამგურალი: ა. ჯანელიძე, მუშკუდიანი, ივანეიშვილი, ქობულაძე, ვ. ფესტვენიძე, ჩიხლაძე, ცნობილაძე, იობიძე, ლ. ფესტვენიძე, ვ. ჯანელიძე, ხარაბაძე (კუხიანიძე 75)
სამტრედია: ჭანტურია, ჯიკაევი, გუჯაბიძე, ჯელაძე, გოგიტაძე (იონანიძე 86), ცომაია, გოგიაშვილი (ჯიშკარიანი 62), გოგიჩაიშვილი, დ. ჯანაშია, ზ. ჯანაშია, ჩხაიძე
1:0 იობიძე (25), 1:1 ზ. ჯანაშია (44)
გაფრთხილება: ვ. ფესტვენიძე, დ. ჯანაშია, ზ. ჯანაშია
გაძევება: ვ. ფესტვენიძე (85)
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

### საპოვნელა 0:3 ბათუმი

საპოვნელა: თევზაძე, ჯანხოთელი (ჩინჩალაძე 75), გენაძე, ჭულუხაძე, ხვარეშია, უკლება, ჯულელი, ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ხურცილავა
ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, სიჭინავა, ბერიძე (ი. მახარაძე 80), შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, მუჯირი, ტულუში, ამბიძე
0:1 თორლაშვილი (37), 0:2 ტულუში (65), 0:3 მაჭუტაძე (83)
პენალტი ვერ გაიტანა გოდერძიშვილმა (81)
გაფრთხილება: გენაძე, სიჭინავა, ტულუში
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

### ივერია 0:0 მარგვეთი

ივერია: ტოგონიძე, ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, ტყემალაძე, შაიშმელაშვილი, გაგუა, გლუნჩაძე (ნარმანია 50), ჩადუნელი, მარლიშვილი, ქობელაშვილი, ნიკლაური
მარგვეთი: ნიქაბერიძე, ბებიაშვილი, გურიელიძე, მაღლაკელიძე, ლონლაძე, ლანჩავა, გაბრიჭიძე, კაციაშვილი (ფანცხავა 87), მინაშვილი, ენდელაძე, ფოცხვერაშვილი
მსაჯი: გ. მიქაუტაძე (ქუთაისი)

### კახეთი 0:2 ტორპედო

კახეთი: ვაზაგაშვილი (გვარამაძე 46), შონია, კაციტაძე, სანადირაძე, კანდელაკი (ბაჟურაძე 30), ჭერიტიძე, ხუფაშვილი, მაისურაძე (ცქიფურიშვილი 70), სოლოლაშვილი, ბაბულაიძე, ხორხელი
ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, ბზიკაძე, ვოსკანოვი, გიორგობიანი (კვეტენაძე 50), სუხიაშვილი, ხუნდაძე, მაღლაკელიძე, გოგელიძე (ჯინჭარაძე 50), თურმანიძე
0:1 ხუნდაძე (24), 0:2 ჩხაბერიძე (81 პ)
გაფრთხილება: სუხიაშვილი
მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)

### დურუჯი 3:0 დილა

დურუჯი: ალავიძე, ვ. ხუბეჯიშვილი, ყანჩაველი, ელოშვილი, ჭაჭუა (ბოჭორიშვილი 85), ლობჟანიძე, კანკია (თოლორდავა 78), ჯაშიაშვილი, პოზოიანი, გ. ხუბეჯიშვილი, ლევინიაშვილი
დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე (წკრიალაშვილი 60), გაგნიძე, თარხნიშვილი, გეგეჭკორი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, მინდიაშვილი (ხორგუაშვილი 46), რევაზიშვილი, ტაბატაძე
1:0 ჯაშიაშვილი (55 პ), 2:0 გ. ხუბეჯიშვილი (61), 3:0 ლევინიაშვილი (90)
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

III ტური, 27 აგვისტო

### კოლხეთი 3:0 დურუჯი

კოლხეთი 1913: გვასალია (ბოჭორიშვილი 75), მიქაბერიძე, კაკაჩია, დანელია, გიგატაძე, ღალანიძე, კიკლიაშვილი, მახარაძე (ჯულელი 65), ინიაშვილი (ჯავახიშვილი 46), დარასელია, გიორგაძე
დურუჯი: ალავიძე, ვ. ხუბეჯიშვილი, გეგეშიძე, ელოშვილი, ჭაჭუა, ლობჟანიძე, თოლორდავა (ბოჭორიშვილი 76), ჯაშიაშვილი, კანკია, გ. ხუბეჯიშვილი, ლევინიაშვილი (პოზოიანი 57)
1:0 კიკლიაშვილი (2), 2:0 კიკლიაშვილი (42), 3:0 მიქაბერიძე (69)
მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

### ტორპედო 1:1 დინამო

ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, ბზიკაძე, ვოსკანოვი, ნიჟარიშვილი, სუხიაშვილი, ხუნდაძე, მაღლაკელიძე (ვაჩიბერაძე 85), კვეტენაძე (ჯინჭარაძე 60), გოგელიძე
დინამო: ჩხეიძე, ნემსაძე, ლობჟანიძე, დიდავა, ინალიშვილი, ყაველაშვილი, ა. არველაძე, ცქიტიშვილი, ხუჯაძე, ქინქლაძე, რევიშვილი
0:1 ქინქლაძე (63), 1:1 ჩხაბერიძე (75 პ)
გაფრთხილება: ვოსკანოვი, ლობჟანიძე
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

### სამტრედია 3:0 კახეთი

სამტრედია: ჭანტურია, გოგიტიძე, გუჯაბიძე (ჯიკაევი 46), ჯელაძე, ფანჩულიძე, ცომაია, გოგიაშვილი, გოგიჩაიშვილი, დ. ჯანაშია, ზ. ჯანაშია (იონანიძე 32), ჩხაიძე
კახეთი: გვარამაძე, შალამბერიძე, კანდელაკი, სანადირაძე, სოლოლაშვილი, ჭერიტიძე, სეფაშვილი, ბაკურაძე (შონია 60), კალუგა, დოლიძე, ხორხელი (მაისურაძე 35)
1:0 გოგიჩაიშვილი (17 პ), 2:0 დ. ჯანაშია (48), იონანიძე (79)
გაფრთხილება: ზ. ჯანაშია, სეფაშვილი
მსაჯი: მ. კობიაშვილი

### ბათუმი 6:1 სამგურალი

ბათუმი: ბალაძე (მალაყმაძე 75), მუჯირი, შანიძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, უჯმაჯურიძე (ბერიძე 54), ტულუში, ამბიძე (ღლონტი 52)
სამგურალი: კიკალეიშვილი, მუშკუდიანი, ივანეიშვილი, გ. ჯანელიძე, ხვიჩია, ჩიხლაძე, ცნობილაძე, იობიძე, ლ. ფესტვენიძე, ვ. ჯანელიძე, აფციაური, თოდაძე
1:0 მაჭუტაძე (23), 2:0 ამბიძე (29), 2:1 იობიძე (35 პ), 3:1 მაჭუტაძე (36), 4:1 თორლაშვილი (53), 5:1 მაჭუტაძე (64), 6:1 მაჭუტაძე (77)
გაფრთხილება: ხვიჩია
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

### შევარდენი 3:1 საპოვნელა

შევარდენი 1906: დევაძე, მჭედლიშვილი, დიმიტრიშვილი, მელქაძე, მესტუმრე (ნადირაძე 57), მაისურაძე, მაქაცარია (ლ. ბერიშვილი 40), ჯიქია, ცაავა, ფრიდონაშვილი, ჭოლოკავა
საპოვნელა: თევზაძე, კუხიანიძე, გენაძე, ჭულუხაძე (ჩინჩალაძე 80), ხვარეშია, უკლება, ჯულელი (ბუნტური 60), ქურციძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ხურცილავა
1:0 ცაავა (6), 2:0 ფრიდონაშვილი (15), 2:1 ხურცილავა (45), 3:1 ჯიქია (78)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### გურია 2:2 ზუგდიდი

გურია: ბერაძე (კუნჭულია 10), ნარიაშვილი, თევზაძე, რუხაძე, ბუცურეიშვილი, სიხარულიძე (კვინტრაძე 60), გამცემლიძე, რეხვიაშვილი (ხართიშვილი 75), გოგოლაძე, ყულევჯიშვილი, კანტიძე
ზუგდიდი: ჭანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, მიქაძე, გაბედავა, ნ. კაკუბავა, გუგუჩია, დარასელია, გაბისონია, დ. კაკუბავა (კუტალია 75)
1:0 გამცემლიძე (35), 1:1 გაბისონია (55), 1:2 გაბედავა (70), 2:2 გამცემლიძე (80)
პენალტი ვერ გაიტანა ნარიაშვილმა (90)
გაფრთხილება: ჭანტურია
გაძევება: გაბედავა (მატჩის შემდეგ)
მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

### მარგვეთი 0:4 მეტალურგი

მარგვეთი: ნიქაბერიძე, ბებიაშვილი, გურიელიძე, ლანჩავა, ლონლაძე, აფციაური (ფანცხავა 67), გაბრიჭიძე, კაციაშვილი, მინაშვილი (თხელიძე 46), ენდელაძე, ფოცხვერაშვილი
მეტალურგი: გრიშიკაშვილი, ფოფხაძე, ბურნაძე, არჩვაძე, კობიაშვილი, ვ. კილასონია, კვარაცხელია, გ. კილასონია, ჩალაძე (ზირაქიშვილი 65), მეტრეველი (ყაველაშვილი 50), ალადაშვილი
0:1 ჩალაძე (55), 0:2 ვ. კილასონია (60), 0:3 ვ. კილასონია (78), 0:4 ვ. კილასონია (80)
გაფრთხილება: კობიაშვილი, ყაველაშვილი
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

### დილა 1:0 ივერია

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, წკრიალაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, მინდიაშვილი, რევაზიშვილი, ტაბატაძე
ივერია: ტოგონიძე, ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, ნოზაძე, სამხარაძე, გაგუა, ტყემალაძე, ჩადუნელი, კენჭუაშვილი (შაიშმელაშვილი 63), ქობელაშვილი, ნიკლაური
1:0 გაგნიძე (63 პ)
გაფრთხილება: ხაჭაპურიძე, ციცქიშვილი, გაგუა
მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 3 | 3 | 0 | 0 | 12-1 | 9 |
| დინამო | 3 | 2 | 1 | 0 | 15-2 | 7 |
| სამტრედია | 3 | 2 | 1 | 0 | 9-1 | 7 |
| შევარდენი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| მეტალურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-1 | 6 |
| კოლხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| გურია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| მარგვეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-4 | 4 |
| დილა | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| დურუჯი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-13 | 3 |
| ზუგდიდი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-7 | 2 |
| ივერია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| სამგურალი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-9 | 1 |
| კახეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-9 | 0 |
| საპოვნელა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-11 | 0 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი,
IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის:
[illegible]
[illegible] „სარბიელი" [illegible]
კორპუსში, [illegible] 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება –
[illegible]

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
[illegible]
რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია,
მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)